ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1140160

ნომერი: AR1198654

თარიღი : 19.02.2014

გაცემის თარიღი : 25.02.2014

გაცნობის თარიღი : 26.02.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ჯიქია , N 5 , (ნაკვეთი 006/055) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვასილი მუჯირიშვილი პ/ნ 01006021615
- თბილისი დიღმის მას. V კვ. კორ. 6 ბ. 37

ორგანიზაცია:

- ქ.თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური კოდი: 204521794

ნომენკლატურა :

- განხორციელებული მშენებლობის დადასტურება
- IV კლასის ობიექტი

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 329737
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 11.09.2012

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი და "მშენებლობის ნებართვის გაცემისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა დადაგენილი სანებართვო პირობების დარღვევით/შეუსრულებლობით განხორციელებული მშენებლობის ქალაქგეგმარებით პირობებთან შესაბამისობის საკითხი, გამოიკვლია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები, შეაფასა საკითხთან დაკავშირებული მასალები, ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურში შემოსული 2014 წლის 19 თებერვლის NAR1198654 ელექტრონულ განცხადებაზე თანდართული ფოტომასალა, ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ შედგენილი ცნობა და დაადგინა შემდეგი:

"10–1" ფასადზე მოწყობილი სავენტილაციო ღიობი და მილები განთავსებულია მონაკვეთში რომელიც ეკუთვნის სამეზობლო მიწის ნაკვეთის მიჯნის ზონას, რომელიც წარმოიშვა პროექტის შეთანხმების შემდგომ შეთანხმებული პროექტის დარღვევით მშენებლობის დროს.

ყოვლივე ზემოთქმულიდან გამომდინარე პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 103'-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად სამსახური გასცემს დასკვნას განხორციელებული მშენებლობის ქალაქგეგმარებით პირობებთან შესაბამისობის დადასტურების შესახებ მხოლოდ იმ პირობით: თუ დამკვეთი მოიპოვებს და ზედამხედველობის ორგანოში წარადგენს იმ მესაკუთრ(ეებ)ის თანხმობას, ვის მხარესაც დაფიქსირებულია მიჯნის ზონაში მოწყობილი ღიობები.

• აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

• ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.